საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

გომერის ქედი

გომერის ქედი, ქედი ქვემო ქართლში, მდინარეების ალგეთისა (მტკვრის მარჯვ. შენაკადი) და ჭივჭავას (ხრამის მარცხ. შენაკადი) წყალგამყოფი, გამოეყოფა ბედენის ქედს სამხრ. მიმართულებით. აგებულია ცარცული ვულკანოგენური ფაციესის კირქვებით, მერგელებით, იშვიათად – სხვადა სხვა შედგენილობის ვულკანოგენური ქანებით. ჩრდ. ნაწილში ქედის კალთები საკმაოდ დახრილი და დასერილია. ქედის სიმაღლე ზ. დ. 1800 მ აღწევს, სამხრ.- აღმ-ით თანდათან დაბლდება (მთები გომერი – ზ. დ. 1458 მ და სამება – ზ. დ. 1199 მ).

დაფარულია ფართოფოთლოვანი ტყით.

დ. უკლება